

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ოზურგეთის ინოვაციებისა

და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი. გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგინთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული

ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე პროექტის გუნდი.


ანტირუსული პროტესტის 223-წლიანი ისტორია

223 წლის წინ, 1801 წელს, საქართველოში პირველმა ანტირუსულმა პროტესტმა იფეთქა – ჯერ მხოლოდ 18 წელიწადი იყო გასული საქართველოსა და რუსეთს შორის „მეგობრობისა და ერთგულების ფიცის“ – გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან... და რუსეთის მეფემ, ალექსანდრე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა...

„მეგობრობისა და ერთგულების ფიცით“ დამეგობრებული ქვეყნის წარმომადგენლებს ეს ამბავი იარაღისა და ძალის დემონსტრირებით ამცნეს რუსული გარნიზონით ალყაშემორტყმულ სიონში...

1 ალექსანდრე პირველის მანიფესტი და კახეთის აჯანყება

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით მიღებული „მეგობრობისა და ერთგულების“ ფიცის რუსეთმა მალევე დაარღვია და 1801 წლის ალექსანდრე პირველის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. გადაწყვეტილება ქართველ თავადებს რუსული გარნიზონით გარშემორტყმულ სიონში ამცნეს იმის იმედად, რომ შეშინებული დათანხმდებოდნენ, თუმცა არ გამოუვიდათ. სამეფოს აღდგენის მოთხოვნით პროტესტმა იფეთქა, რომელიც რუსულმა სამხედრო ძალებმა ჩაახშო. აჯანყების მეთაური ბატონიშვილები გადაასახლეს და დააპატიმრეს, თუმცა ამ პროტესტმა სათავე დაუდო შემდგომი წლების პოლიტიკურ გამოსვლებს.



მე-19 საუკუნის დასაწყისში „მეგობრობისა და ერთგულების ფიცით“ საქართველო რუსეთის მიერ იქნა ანექსირებული. იგი გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი... XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში გაიზარდა რუსიფიკაციის პოლიტიკა, ასევე – ქართული ეროვნული მოძრაობა რუსული მმართველობისგან უფრო მეტი ავტონომიისა და დამოუკიდებლობისათვის.

1918 წელს შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც წარმატებულად ნერგავდა დემოკრატიულ რეფორმებს 1921 წლამდე, ამ წელიწადს ამჯერად საბჭოთა რუსეთმა განახორციელა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია. საბჭოთა კავშირში დომინანტი რუსე-

3 იმერეთის აჯანყება

1804 წელს ელანაურის ტრაქტატით რუსეთი იმერეთს პროტექტორატს დაჰპირდა, თუმცა, დაცვის ნაცვლად, 1810 წელს იმერეთის სამეფოც გააუქმა. სანამ თავდაზნაურების ნაწილი რუსეთს ერთგულებას ეფიცებოდა, იმერეთის მეფე სოლომონ II აჯანყდა. მას მხარს უჭერდნენ ბატონიშვილები და აზნაურები, რომლებიც წინა აჯანყებებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. აჯანყებულებს სპარსეთისა და ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდათ, თუმცა, საბოლოოდ, პარტიზანულ ბრძოლებამდე მივიდნენ და დამარცხდნენ.



თი და მისი ინტერესები იყო, მას არასოდეს ავიწყებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება...


საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, მაგრამ დარჩა რუსეთთან რთული ურთიერთობა. დაძაბულობა ბევრჯერ განმეორდა – საქართველოს თავისუფლებისაკენ სწრაფვის პარალელურად – აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსული გავლენის და ოკუპაციის ქვეშაა, მუდმივად მიმდინარეობს „მცოცავი ბორდერიზაცია“ – საქართველოს ტერიტორიის „ჩამოჭრა“ და ოკუპირებულ ცხინვალის საკუთრებასთან მიერთება...

პუშკინი ამბობდა: მტრები? – მათ როგორმე მოვუვლი, ღმერთო, მისხენი მეგობრებიდან... გადავხედოთ – რუსული „მეგობრობის“ ფაქტებს:

წყარო – <https://bit.ly/49nNNMO> On. ge

5 1832 წლის შეთქმულება

1832 წლის შეთქმულება ერთგვარი გვირგვინი იყო ბოლო 30 წლის პოლიტიკური გამოსვლებისა. აჯანყებაში მონაწილეობდა საზოგადოების ყველა წრე, გლეხებიდან ბატონიშვილებამდე და გადამწყვეტ როლს თამაშობდა ინტელიგენცია. შეთქმულებისთვის მზადება 1829 წელს დაიწყო. შეთქმულები აპირებდნენ, თავად-აზნაურობის საკუთრებო ყრილობაზე რუსი ჩინოვიკების შეპყრობას და სანამ რუსები აზრზე მოვიდოდნენ, გარნიზონებზე თავდასხმას. თუმცა, ერთ-ერთმა მეთაურმა გვემა გასცა. შეთქმულები დააპატიმრეს და გადაასახლეს.



2 მთიულეთის აჯანყება




1804 წელს, მთიულეთის აჯანყებისას საქართველოში უკვე მძიმედ იგრძნობოდა რუსული მმართველობის წნეხი. რუსი სამხედროები არაადამიანურად ეპყრობოდნენ მთიულებს, სცემდნენ და აუპატიურებდნენ ქალებს, უღელში აბამდნენ მათ და ამათრახებდნენ, რასაც პროტესტი მოყვა.

მთიულეთის აჯანყებას რუსული ჯარები 5 თვე იგერიებდნენ. თუმცა, საბოლოოდ, პავლე ციციანოვმა (ციციშვილმა), აჯანყება სისხლში ჩაახშო, მონაწილეები ჩამოახრჩო, თავადები კი გადაასახლა.

4 საეკლესიო აშკოზი

1819-20 წლებში გარუხების პოლიტიკის, სლავიანური ღვთისმსახურებისა და საეკლესიო ყმა-მამულის ხაზინისთვის გადაცემის გასაპროტესტებლად, ქუთაისისა და გუენათის მიტროპოლიტები, დოსითეოსი და ექვთიმე აჯანყებას ჩაუდგნენ სათავეში. ისინი დააკავეს და საშინლად სცემეს. ნაცემი დოსითეოსი სურამში გარდაიცვალა, ხოლო ექვთიმე რუსეთში გადაასახლეს.



ამან მოსახლეობაში პროტესტი უფრო გაზარდა და ამბოხება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გადაიზარდა. რუსებმა იმერეთში დამატებითი ჯარები შეიყვანეს, გადაწვეს სოფლები, გაჩეხეს ვენახები, გადაასახლეს და სიკვდილით დასაჯეს აჯანყებულები.

6 ხანჯლიდან კალაშო - თერგდალეულაძე

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე დასაწყისში რუსეთის ცარისტული ხელისუფლება დასუსტდა და არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა. ამ დროს ბრძოლა ხანჯლიდან კალაშოზე გადავიდა და თერგდალეულების ეპოქა დაიწყო, რომლებმაც ცენტრის მიუხედავად, ანტიცარისტული მოთხოვნებით, ლექსებითა და პუბლიცისტური წერილებით, განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ანტიოკუპაციურ ბრძოლაში და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში.



მხოლოდ წარსულის წოდებით დაურავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.
ი. ჯ. ჯავახიშვილი

ანტირუსული პროტესტის 223- წლიანი ისტორია

7 ანტისაბჭოური აჯანყება

გასაბჭოების შემდეგ მალევე, 1922 წელს შეიქმნა "სამხედრო ცენტრი", რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას. პირველი საპროტესტო მუხტის ორგანიზატორი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო, რომელმაც "შეფიცულთა რაზმი" შექმნა და პარტიზანული ბრძოლები დაიწყო. არაერთი წარმატებული ბრძოლის მიუხედავად, 1924 წელს აჯანყებულები დამარცხდნენ. ქაქუცა ჩოლოყაშვილს საფრანგეთში მოუწია წასვლა.



8 ანტისაბჭოთა შეთქმულება

1941 წელს თსუ-ის ასპირანტებმა, მწერლებმა, პოეტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ჩამოაყალიბეს ანტისაბჭოური პატრიოტული ორგანიზაცია, რომელმაც სსრკ-სგან გამოყოფა დაიასხა მიზნად. შეთქმულები შიგნიდან გასცეს, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ ფაშისტური სამხედრო ორგანიზაციის შექმნა დააბრალა და სასჯელის უმაღლესი ფორმა, დახვრეტა მიუსაჯა. ნაწილი გადაასახლეს.

9 ქართული ენის დასაცავად

1978 წელს სსრ ხელისუფლებამ განიზრახა, ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი შეეცვალა და სახელმწიფო ენად რუსული დაემტკიცებინა. მშობლიური ენის დასაცავად თბილისში ხალხმრავალი დემონსტრაციები დაიწყო, რომლებმაც კულმინაციას 14 აპრილს მიაღწია. სტუდენტები დაშლაზე უარს ამბობდნენ და უკან დახევას არ აპირებდნენ, რამაც შედეგი გამოიღო. ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა. 12 წლის შემდეგ კი 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა.

2008 წელს რუსული საოკუპაციო ძალების ინტერვენციების შედეგად, დაიღუპა საქართველოს 224 სამოქალაქო პირი, თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე და შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი. 150 ათას ადამიანს საკუთარი საცხოვრებლის დატოვება მოუწია. მათგან ბევრი დღესაც დევნილია.

10 9 აპრილი

1989 წლის 4 აპრილს, მას შემდეგ, რაც აფხაზეთში დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების იდეა გაუღერდა, თბილისში მიტინგები დაიწყო. 5 დღის განმავლობაში რუსთაველის გამზირზე მოსწავლეები, სტუდენტები და ეროვნული მოძრაობის ლიდერები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, და თავისუფლების მოთხოვნით მიმძილობდნენ.



9 აპრილს წითელმა არმიამ მიტინგი დაარბია, რასაც 20 ადამიანი ემსხვერპლა, ერთი მოქალაქე კი კომენდანტის საათის დროს მოკლეს რუსმა ჯარისკაცებმა. ტრაგიკული მოვლენებიდან 3 წლის თავზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა.



"ძირს ხუსტის დამაღი იმპეჩია"

11 2008-2019 - ანტირუსული პროტესტის ათწლეული

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როცა რუსეთმა პროპაგანდისტული თავდასხმების გაძლიერება, უკანონო ბორდერიზაცია, მოქალაქეების გატაცება და ძალადობა დაიწყო, ქვეყანაში შეიქმნა რამდენიმე სამოქალაქო მოძრაობა რომელიც რუსეთის პოლიტიკას და ოკუპაციას ღიად აპროტესტებენ.

სხვადასხვა ანტიპუტინური ბანერები და პოსტერები ჩნდებოდა საქართველოს მასშტაბით ყველგან, სადაც რუსული ნარატივები განსაკუთრებით აქტიურდებოდა, ან იქ, სადაც მეტი შანსი იყო ხმა მოსოფლიოსთვის მიეწვდინათ.

1783 წლის ხელშეკრულების წყალობით საქართველო ვაძლიერების ვარაუდს, მტრებისგან უზრუნველყოფის მავიერ სამის მხრით მტრებით შემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებებში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთან. რომელიც ნინათ მისი ეროვნული მოკავშირეები იყვნენ. ერეკლე მეფე და მმართველი ნრეები ხედავდნენ, რომ ამ პოლიტიკური ნაბიჯის გამოიხიბით საქართველო ისეთ საშინელოს განსაყრდელი ჩავარდა, რომლის მხევასში შაჰაზის შემდგომ არ ყოფილა.

12 გავრილოვის ღამე და უწყვეტი ანტიოკუპაციური პროტესტი

მას შემდეგ, რაც რუსი, კომუნისტი მართლმადიდებელი დეპუტატი სერგეი გავრილოვი პარლამენტის თავმჯდომარის სკამში ჩავდა და საკანონმდებლო ორგანოს რუსულად მიმართა, საქართველოში პროტესტმა იფეთქა. ათასობით ადამიანი სხვადასხვა ქალაქში გამოვიდა და რუსული ოკუპაცია დაგმო.

აქციის ძალადობრივად დაშლის შემდეგ პროტესტი მაინც გაგრძელდა და რამდენიმე თვის განმავლობაში ანტიოკუპაციური აქციები იმართებოდა.



ყველა ერთი თავის ქუჩის უკეთეს და თავის კერძს ჩახრქერის და სხვისთვის ხეირი იმდენად უნდა, რამდენადარ თავად გამოაფგება იგი. მხოლოდ ერთ ნაწილს ქართველობისას არ სწამს, რომ ეს ასეა. რუსეთისგან ისინი მოელიან წყალობას. აბა, საიდან სავა?

წყაუ. რუსეთი არ არის სამში მეზობელი ჩვენთვის? ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი დამოხიზნული მერე ერებისა შეუძირდებოდა რუსეთს? არა და წნობაჯერ არა.

კოლორს, გორის მიმდებარე სოფლებს... ატარებს "სამხედრო წვრთნებს" საზღვრებთან ახლოს. საქართველოს ტერიტორიას ჯერ ლობავს, შემდეგ კი ისაკუთრებს... "საზღვრის გადაკვეთისათვის" იტაცებს, ანამებს და აპატიმრებს ქართველებს... რუსეთსა და საქართველოს შორის დამაბულობა განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ... ..ბოლო რუსული აგრესია იყო 2023 წლის ბოლოს, ლომისის ტაძარში სალოცავად მისული თამაზ გინტურის მკვლელობა...

2024 - საპარლამენტო არჩევნების წელი - ამომრჩევლის სამახსოვრო

- არჩევნები ფარულია და ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა!
- საარჩევნო ელექტრონული სისტემის საშუალებით არჩევნების შედეგები ქვეყნის მასშტაბით, გვეცოდინება, ხმის მიცემის შეწყვეტიდან, ერთ-ორ საათში. შესაბამისად - ხმებს ველარ „გადათვლიან“.
- ამომრჩევლის რეგისტრაციისა და ხმების დათვლის ელექტრონული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას აკე-

- თებს საერთაშორისო, რეიტინგული ორგანიზაცია, და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოხდეს უკანონო მანიპულირება.
- არჩევნების დღეზე მეტად არჩევნები ყალბდება სააგიტაციო პერიოდში, როცა უკანონო წესებით ზემოქმედებენ ამომრჩევლის ნებაზე - მოსყიდვა, დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება... ვიმოქმედოთ სინდისის კარნახით. ჩვენზეა გადამწყვეტილების ბედი.

- ხელისუფლების შეცვლის დიდი სურვილი თუ გაჩნდა ამომრჩეველში, შედეგში დიდი სხვაობის შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვერ უშველის ვერც ადმინისტრაციული რესურსი, ვერც ამომრჩეველთა დაშინება.
- ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე!!!

